განახლებულია: 30.09.2024

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ტურიზმის მენეჯმენტი/Tourism Management |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმის მენეჯმენტში/Master of Business Administration – Tourism Management |
| პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | როსტომ ბერიძე, პროფესორი, ელ.ფოტსა: beridze.rostom@bsu.edu.ge<br>პაატა ჩაგანავა, პროფესორი, ელ.ფოსტა: chaganava.paata@bsu.edu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა,<br>სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1) | 120 ECTS |
| სწავლების ენა | ქართული ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;<br>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა;<br>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;<br>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | ✓ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს პროფესიონალი, რომელიც:<br>▪ არის ტურიზმის და ტურიზმის მართვის სფეროში თანამედროვე, ღრმა და სისტემური ცოდნით აღჭურვილი მენეჯერი, ეფექტიანი ლიდერი და გუნდის წევრი;<br>▪ გადაჭრის რთულ მმართველობით პრობლემებს;<br>▪ თავის გადაწყვეტილებებს აფუძნებს კვლევებზე, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებზე. |
| სწავლის შედეგები | ✓ მსჯელობს კრიტიკულად, სიღრმისეულად და სისტემატიზებულად ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის კონცეფციების შესახებ;<br>✓ განხილავს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის თანამედროვე ტენდენციებს, წარმატებულ და წარუმატებელ შემთხვევებს, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების უახლეს მიღწევებს;<br>✓ გადაჭრის ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას ორიგინალური, ინოვაციური, თანამედროვე, სტრატეგიული, კომპლექსური, კვლევაზე დაფუძნებული გზით; |

| | |
|---|---|
| | ✓ იკვლევს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;<br>✓ ეყრდნობა თანამედროვე ტექნოლოგიებს, მდგრადობის, საქმიანი და აკადემიური ეთიკის პრინციპებს;<br>✓ წარუდგენს ტურიზმის და ტურიზმის დარგში მოქმედი ორგანიზაციის ან მისი ქვედანაყოფის მართვის პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრასთან ან კვლევასთან დაკავშირებულ დასკვნებს, არგუმენტებს და შედეგებს საქმიან და აკადემიურ საზოგადოებას ქართულ და უცხოურ ენებზე;<br>✓ მართავს დამოუკიდებლად ან გუნდურად, ეფექტიანი გუნდის მეშვეობით, ტურიზმის დარგში მოქმედ ორგანიზაციას ან მის ქვედანაყოფს პასუხისმგებლობით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;<br>✓ წარმართავს საკუთარი და გუნდის წევრების სწავლისა და პროფესიული განვითარების პროცესს. |